

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 965

ქ. ბათუმი, 04 ნოემბერი 2016 წ

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 29 აგვისტოს N761 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 29 აგვისტოს N761 ბრძანებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10670,0 (ათი ათას ექვსას სამოცდაათი) ლარის საერთო ღირებულების მქონე 5500 ცალი კრამიტისა და 77178,0 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ას სამოცდათვრამეტი) ლარის საერთო ღირებულების მქონე 2100,0 კვ.მ. ტროტუარის მოსაპირკეთებელი ფილის (მეორადი) სსიპ „საქართველოს საპატრიარქოსათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2016 წლის 13 ოქტომბერს წარმოდგენილი N31436/25 წერილით ხინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის წინამძღვრის მიერ მოთხოვნილი იქნა ზემოთ მითითებული, წმ. ევდემოზ კათალიკოსის მშენებარე ტაძრის კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი მოსაპირკეთებელი ფილებიდან 150 კვ.მ. ფილის (ძვლის ფორმის) შეცვლა ტროტუარის მოსაპირკეთებელი ბაზალტის დეკორატიული ფილებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 29 აგვისტოს N761 ბრძანებაში მითითებული 2100,0 კვ.მ. ტროტუარის მოსაპირკეთებელი ფილიდან (მეორადი) 395 კვ.მ. წარმოადგენს ძვლის ფორმის ფილას, რომლის 1 კვ.მ-ს ღირებულება შეადგენს 9,0 (ცხრა) ლარს. 1 კვ.მ. ტროტუარის მოსაპირკეთებელი ბაზალტის დეკორატიული ფილის (მეორადი) ღირებულება შეადგენს 10,0 (ათი) ლარს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-სათვის უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 29 აგვისტოს N761 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-ს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 10670,0 (ათი ათას ექვსას სამოცდაათი) ლარის საერთო ღირებულების მქონე

5500 ცალი კრამიტი და 77328,0 (სამოცდაჩვიდმეტი ათას სამას ოცდარვა) ლარის საერთო ღირებულების მქონე 2100,0 კვ.მ. მეორადი ტროტუარის მოსაპირკეთებელი ფილა (მათ შორის 150 კვ.მ. ბაზალტის დეკორატიული ფილა და 245 კვ.მ. ძვლის ფორმის ფილა).

2. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს სსიპ „საქართველოს საპატრიარქო“-ს.

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი